ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ
გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ბექა თოიძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება
(ასეთის არსებობის შემთხვევაში): სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც
არის საკრებულოს წევრი: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია, საფინანსო საბიუჯეტო კომისია.

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს
წევრი: "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო".

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში): "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", - მაჟორიტარული წესით.
საანგარიშო პერიოდი: 01.10.2023წ. – 01.10.2024 წ.
ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე): მორიგი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 14
საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება 11

2. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი 28
საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება 25

3. სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის
არსებობის შემთხვევაში): 2
საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება
(ასეთის არსებობის შემთხვევაში): 1

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა **14**

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება **14**

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები: სოფ. ლიხაური - მაკვანეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის პროექტი, სოფ. ლიხაურში არსებული წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია; სოფ. მაკვანეთის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება; წყალგამყვანი და წყალშემკრები არხების მოწესრიგების პროექტი; უპატრონო და მაწანწალა ძაღლების თავშესაფარის ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტში შესატანი წინადადებები და რეკომენდაციები, გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის, როგორც მკაცრი აღრიცხვის ფორმებისა და ამ ფორმის გამოყენების აღრიცხვა-ანგარიშების წესი.

საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა საკრებულოს **2** დადგენილება, საკრებულოს **3** განკარგულება

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განახლების, რეაბილიტაციისა და ახალი მშენებლობის პროგრამა; სოფლის მხარდამჭერი პროექტები; 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი; 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში; რეგფონდებიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები; სოც. დახმარების გაცემისა და მიღების წესი; მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმა; მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვების გეგმის შესრულების ანგარიში, მუნიციპალიტეტის ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებების პროექტი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესის ცვლილებების პროექტი, გარე ვაჭრობის მოწესრიგების ღონისძიებების პროექტი.

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: -

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა **40**

საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა **147**

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება (ლიხაური, ჭანიეთი, მაკვანეთი), წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია (მაკვანეთი, ლიხაური), სოფლის ცენტრების რეაბილიტაცია (ლიხაური), გარე განათების ქსელის გაფართოება (ლიხაური, ჭანიეთი, მაკვანეთი), სასპორტო მოედნის მოწყობილობა (ლიხაური).

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები): კომისიისა და სამუშაო ჯგუფებში განხილვა, შუამდგომლობების გაწევა მუნიციპალიტეტის მერიასთან და სხვა შესაბამის

სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან. აღნიშნულის შედეგად: მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა, სოფლებში მოეწყო შიდა გზები და გარე განათების ქსელი, სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას გაეწია სოციალური დახმარება, განხორციელდა საცხოვრებელი სახლების სახურავების აღდგენა-რეაბილიტაცია.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა: აქტიური ჩართულობა ფრაქციის საქმიანობაში, სამუშაო ჯგუფებში, მერიისა და საკრებულოს ეგიდით ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა, სახელმწიფო სტრუქტურების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანოების მიერ ორგანიზებულ თათბირებში, სემინარებსა და ტრენინგებში აქტიური ჩართულობა.

12. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებულ შედეგები: გზების რეაბილიტაციის შედეგად მოსახლეობის გადაადგილებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, მაღალი ხარისხის სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფის შედეგად ინფექციურ დაავადებათა პრევენცია, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

13. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ: მოსახლეობის მაღალი ხარისხით სასმელი წყლით უზრუნველყოფა, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის დაჩქარება, სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობების დარეგულირება, კულტურული და სასპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, სოფლის ცენტრების მოწყობა და იქ განთავსებული შენობა-ნაგებობების მოპირკეთება.

ანგარიშის მომზადების თარიღი: 14 ოქტომბერი 2024 წელი.
ანგარიშის წარდგენის თარიღი: 29 ოქტომბერი 2024 წელი.

ხელმოწერა: _____.